სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

№ 000000951

08/10/2019

საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სიის დამტკიცების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 30 მაისის №101/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 12 აპრილის №71/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესის და პირობების 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სია დანართის შესაბამისად.
2. აღნიშნული სია გამოქვეყნდეს სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის
დირექტორი
გელა წიკლაური